საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი ”-ს „ხულოს მუნიციპალური სერვისი”-ს

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2018 წ. - 31.12.2018 წ.)

ხულო

2019 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისები

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, დ. აღმაშენებლის ქუჩა № 3

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2018 წლის 31 დეკემბრის № 964 ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რამაზ აბულაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.11.2019 წ. – 30.11.2019 წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2018 წ. – 31.12.2018 წ.

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების **შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით სადაც ასახულია ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

„ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს " დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2018 წლის 22 იანვრის №21 ბრძანებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. 22/01/2018 წლის ხულოს მუნიციპალიტეტის მერის N18 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხულოს მუნიციპალური სერვისების **წესდება**. ა(ა)იპ-ის შიგა 22/01/2018 წ. N1 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების **შინაგანაწესი.**

ორგანიზაციის შინაგანაწესში არ არის სწორედ განსაზღვრული მიზანი, პრინციპები, სამუშაო დრო დასაქმებულთა ძირითადი ვალდებულებები, დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ აკმაყოფილებს არსებულ ნორმებს.
რეკომენდაცია:

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისებმა ანახლოს შინაგანაწესი არსებული და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

„ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

„ხულოს მუნიციპალური სერვისი" ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

ა(ა)იპ-ი „ხულოს მუნიციპალური სერვისი" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, დ.აღმაშენებლის ქ №3

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისების 2018 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 216280 ლარით. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით შეადგინა 325783 ლარი, რაც არ არის სწორე ინფორმაცია, ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა) მითითებული აქვს საკასო ხარჯში, რამაც გაზარდა საკასო ხარჯები.

ყველა საანგარიშო პერიოდის ცვეთის თანხა აღიარდება ხარჯად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. (საქართველოს მინისტრის ბრძანება N1321 ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ).

რეკომენდაცია: ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისებმა ბუღალტრული აღრიცხვა განახორციელოს საქართველოს ფინანსტა მინისტრის N 1321 ბრძანება, ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, სრული დაცვით.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 30350 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 30350 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 185930 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 181458 ლარი,

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 91680 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 91 672 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 450 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 450 ლარი.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 22365 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 22355 ლარს, დაგეგმილზე 10 ლარით ნაკლებს. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 15148 ლარს.

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებული იყო 5050 ლარი, საკასო შესრულება 5036 ლარი.

სხა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გათვალისწინებული იყო 1180 ლარი საკასო შესრულება 1116 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილი იყო 65205 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 60854 ლარი.

2018 წლის შტატის მომუშავეტა რიცხოვნება დაგეგმილი იყო 8 თანამშრომელი ფაქტიურად 7 თანამშრომელი,შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა დაგეგმილი იყო 36 ფაქტიურად მუშაობდა 36 თანამშრომელი

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი

ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისებს 2018 წლის შტატით მომუშავეთა რიცხონება განსაზღვრული იყო 8 თანამშრომლით ბალანსში წლის ბოლოს ფიქსირდება 7 შტატით მომუშავე, შტატგარესე მომუშავეები განსაზღვრული იყო 36 თანამშრომელზე ფაქტიურადაც აყვანილია 36 თანამშრომელი.

პირობითი მოსაზრება არსებულ გარემოებიდან გამომდინარე:

ხარვეზი: 2018 წლის ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისების ბალანსის ფორმა N2=ის მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე განსაზღვრული 30 350 ლარი (შტატით მომუშავეთა) სრულად არის ათვისებული, თუ დაგეგმილი იყო 8 შტატით მომუშავე წლის დასაწყისში, შესაბამისად მათი სახელფასო სარგოებით, ხოლო ბალანსში ნაჩვენებია 7 შტატით მომუშავე, გამომდინარე აქედან 1 შტატით მომუშავის ხელფასი უნდა დარჩენოდა წლის ბოლოს.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისებმა ბუღალტრული აღრიცხვა, წლიური ბალანსის აღრიცხვა განახორციელოს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1321-ის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, სრული დაცვით.

2018 წლის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

ტარაქტორებზე და ავტომანქანებზე თვის განმავლობაში ხდებოდა საწვავის გაცემა, ჩამოწერა შესრულებული სამუშაოების მიხედვით და ყოველთვიური ნაშთის გამოყვანა.

დარჩენილი ნაშთი უნდა დაფიქსირებულიყო მომდევნო თვის დასაწყისში რაც არ ხდებოდა, რის გამოც წლიურმა ნაშთმა შეადგინა 409,1 ლიტრი საწვავი.

საოფისე და საკანცელარიო საქონელი, რომელიც შეძენილია 2018 წლის განმავლობაში, პირდაპირ ხარჯებშია გაწერილი ისე, რომ მათ გაცემაზე არა არის გაცემის უწყისები შედგენილი თუ ვის მიერ იქნა გამოყენებული და არც ხარჯვის აქტები არ არის შედგენილი.

დაწესებულების მიერ გამოცემული **ბრძანებების შედგენის ანალიზი.**

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისების დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებში პერსონალის დანიშვნის თაობაზე არ არის მითითებული ხელფასის რაოდენობა, რაც აუცილებელია მსგავსი ბრძანებების გამოცემის დროს.

რეკომენდაცია

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისებმა ბრძანებების შედგენისა გაითვალისწინოს საქმისწარმოების ერთიანი წესები.

სახელმწიფო შესყიდვები

2018 წელს ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისების“ მიერ განხორციელებულია 44 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 5 კონსოლიდირებული ტენდერით (ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან საწვავზე 3 ხელშეკრულება, შ.პ.ს. „პეტროლთან საწვავზე 1 ხელშეკრულება, შ.პ.ს. “SESEKO”-სთან საწვავზე 1 ხელშეკრულება, შ.პ.ს. „ალტა“-სთან 1 ხელშეკრულება კომპიუტერულ მოწყობილობებზე, შ.პ.ს. „იუ-ჯი-თი“-სთან 1 ხელშეკრულება კომპიუტერულ მოწყობილობებზე).

გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, რითაც არა არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე, მოხდეს ბაზრის კვლევა და გამოკვეთილი შედეგების შემდგომ განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვა.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი: /ზვიად თავართქილაძე/

უფროსი სპეციალისტი: / რამაზ აბულაძე /

უფროსი სპეციალისტი: / სოფიკო ქონიაძე /